გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება № 113

2020 წლის 11 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, სოფ. ქორდში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ამბულატორიის (ს.კ. 66.50.07.396) და სოფ. ფლავში მდებარე მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული ამბულატორიის (ს.კ 66.48.04.048) სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ:

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს (N16825 17.08.2020წ.) და შ.პ.ს. „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი" - ს (N12192 22.07.2020წ.) წერილები, რომელშიც მოთხოვნილია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემა, კერძოდ: გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.50.07.396) და მასზე განთავსებული ამბულატორია და სოფელ ფლავში მდებარე მიწის ნაკვეთი (ს/კ 66.48.04.048) და მასზე განთავსებული ამბულატორია, შემდგომში შპს „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი"-ს კაპიტალში შეტანის მიზნით.

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია სოფელ ფლავში მდებარე 46.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ამბულატორიის შენობა (ს.კ. 66.48.04.048).

ასევე, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია სოფ. ქორდში მდებარე 167.00 კვ.მ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ამბულატორიის შენობა (ს/კ 66.50.07.396).

გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია სოფელ ფლავში მდებარე უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი N 66.48.04.048) და სოფელ ქორდში მდებარე

უძრავი ქონება (საკადასტრო კოდი N 66.50.07.396), გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში, შემდგომში შ.პ.ს. „შიდა ქართლის პირველადი ჯანდაცვის ცენტრი“-ს კაპიტალში შეტანის მიზნით.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, 108-ე შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავში მდებარე 46.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ამბულატორიის შენობა (ს/კ 66.48.04.048)

2. გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქორდში მდებარე 167 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებულია ამბულატორიის შენობა (ს/კ 66.50.07.396).

3. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე